899.962.1
ა-56

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მერაბ მიხეილის ძე ამაღლობელი

# რევაზ ინანიშვილის შემოქმედება
## (პროზა, წერილები, თარგმანები)

10.01.01. ქართული ლიტერატურა

# ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997

შემოსულია № 32
21 04 1997 წ.

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
რ. მიშველაძე

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ლ. მინაშვილი

ოფიციალური ოპონენტები - ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ა. ნიკოლეიშვილი

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
ნ. შავგულიძე

წამყვანი ორგანიზაცია - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის 23.V.13 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P.10.01.C #2 სხდომაზე.

თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის გამზირი 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 199 წლის

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
პროფესორი ნ.ტაბიძე

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა.

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ცნობილი ქართველი მწერლის - რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტად ფართო და მრავალმხრივია.

ნაშრომში განხილულია რ.ინანიშვილის პროზა, რ.ინანიშვილის მიერ თარგმნილი უცხოელ მწერალთა მოთხრობები, 1979-1990 წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მწერლის პუბლიცისტური წერილები.

რევაზ ინანიშვილის მხატვრულ-აზრობრივი კრედო, მტკიცე მწერლური პოზიცია ნათლადაა გამოკვეთილი მის ნაწარმოებებში. მწერლის შემოქმედება ასახავს ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-სოციალურ რეალობას. სამყაროსადმი მისი ესთეტურ-ლიტერატურული მიდგომა, შემოქმედებითი პრინციპი სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არ ქცეულა. წინამდებარე ნაშრომში მთელი სისრულით იკვეთება მწერლის მხატვრული პოზიცია. ასებული ისტორიული სინამდვილის მიერ წამოჭრილი საკითხი - სინამდვილისა და სიყალბის ერთმანეთისაგან გარჩევის პრობლემა რ.ინანიშვილის მხატვრულ აზროვნებაში ფილოსოფიურ-კონცეპტუალური დილემის სახეს იღებს. ამ პრობლემის გააზრება რ.ინანიშვილის პროზის გაგების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ნაშრომში ცალკე გამოიყოფა რ.ინანიშვილის მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხები: ა/. თუ როგორ ესმის რ.ინანიშვილს მწერალი და მწერლობა, ბ/. პიროვნების პრობლემა, ძალდობისა და თავისუფლების საკითხი, გ/. სინამდვილისა და ობიექტური რეალობის საკითხი, დ/.სულიერისა და ფიზიკურის პრობლემა. ერთი ქვეთავი მწერლის შემოქმედების თემატურ ორიგინალობას ეთმობა, სადაც განხილულია სოციალური თემატიკა, ომისა და სოფლის /სამკვიდროს/ თემები. ერთი თავი მოიცავს რ.ინანიშვილის შემოქმედების მხატვრულ-გამომსახველობით თავისებურებებს /ფერისა და საგნის სიმბოლიკა, კომპოზიცია, სიუჟეტი, პერსონაჟთა დახასიათება, ზოგიერთი სტილური თავისებურებანი/.

რ.ინანიშვილის მხატვრულ-შემოქმედებითი პრინციპის სპეციფიკა გამოკვეთს ესთეტიკურ პრობლემათა რიგს: სამყაროსთან მიმართების /მხატვრული სინამდვილის და ობიექტური რეალობის/, მწერლობის არსის /ხელოვანის და ხელოვნების/, კონცეპტუალურის /სიკვდილ-სიცოცხლის/, რეალურის /პიროვნების და თავისუფლების/, ირეალურის /მარტოობის და გაორების/, ცივილიზაციის /გაუცხოების/, საკრალურის /მითოსურ-წარმართული რიტუალურობისა და ქრისტოლოგიური მისტიკის/.

რ.ინანიშვილის პროზის შესახებ მრავალი სპეციალური გამოკვლევის მიუხედავად, მწერლის შემოქმედების პოეტურობისა და პროზაულობის ძირითადი საფუძვლები სპეციალური შესწავლის საგნად ჯერ არ ქცეულა. სადისერტაციო ნაშრომის მთავარი კითხვა: რა განაპირობებს